ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3247234

ნომერი: AR1499660

თარიღი : 29.04.2017

გაცემის თარიღი : 05.05.2017

გაცნობის თარიღი : 05.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წერეთლის გამზირსა და სამტრედიის ქუჩის გადაკვეთა, (ნაკვ.20/32) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ მავრომატის პ/ნ 01019003842
- თბილისი ზვარეთის ქ. N 21

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1499660 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.13.04.020.055) სერვიტუტით დატვირთვასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
როგორც უკვე თქვენი 21/02/2017 წლის AR1480488 განცხადების პასუხად გეცნობათ, თქვენს დაინტერესებაში არსებულ საკადასტრო ერთეულს (საკადასტრო კოდი: #01.13.04.020.032) სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან გააჩნია მისასვლელი სამანქანო გზა. აქედან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა ალტერნატიული მისასვლელი გზის არარსებობასთან დაკავშირებით. თუმცა, როგორც უკვე გეცნობათ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.13.04.020.055) მესაკუთრის შესაბამისი თანხმობის მოპოვების შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა, თქვენს მიერ დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საკადასტრო ერთეულის (საკადასტრო კოდი: #01.13.04.020.055) სერვიტუტით დატვირთვასთან დაკავშირებით, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.04.020.032) არსებული ფართის გზით უზრუნველსაყოფად.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.